| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893


**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 28 მარტს.**

## „ივერია“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს.**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## რედაქციისაგან

შეიძლება დაკვეთა გაზეთისა 1 აპრილიდამ წლის დამლევამდე, ფასი 8 მან. მსურველთ შეუძლიანთ ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ.


**II**

**ტომი**

**აკაკი წერეთლის**

თხზულებათა

გამოცემა „ქართველთა ამხანაგობისა“ ხუთშაბათს, 25 მარტს, გარდაეცემა გასასყიდად „ქართველთა ამხანაგობის“ მაღაზიას.

ფასი 1 მანეთი.

აგენტებს გაეგზავნება კვირაცხოვლის კვირაში. (3—1)

საალდგომო

**მისალოცად!**

იხილე გვერდი მეოთხე

„ქართველთა ამხანაგობის“ განცხადება. (3—1)


## ფელეტონი

**„ძველ ამბებიდამ“**

ქალო, მე შენი სურვილი
დიდი მორევი მგონია,
გავცურდე—ნავი არა მაქვს,
ვერც მიპოვნია ფონია.
ჩავვარდი, როგორც მარილსა
მადნობს, მელევა ღონეა.
ხან გულზე ცეცხლი მედება,
დაუშრეტელი გენია,
აღარ ეშვება თვალებსა
ტკბილი სურათი შენია;
მოვფრინდებოდი შენთანა,
ნეტავი მომცა ფთენია.

თ. რაზიკაშვილი

## ახალი ამბავი

*** დღეს სიონის ტაძარში მწირველი ბრძანდება მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესი ვლადიმერი, საქართველოს ექსარხოსი, რომელიც წირვის შემდეგ ფეხრთა-ბანის წესს აღასრულებს. წირვა დაიწყება დილის ათ საათს.

დღესვე, საღამოს, სიონის ტაძარში ათ-ორ-მეტი სახარება იქმნება წაკითხულ ქართულ, რუსულ და ბერძნულად. სახარებას წაიკითხავენ მისი მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობა, ეპისკოპოსნი ალექსანდრე და ბესარიონი, არხიმანდრიტნი და სხვანი.

ხვალ, წითელ პარასკევს, მისი მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობა ეპისკოპოზებითურთ გამოასვენებს გარდამოხსნას ექსარხოსის ეკლესიიდგან და სიონის ტაძრად მიასვენებს. ლოცვა დაიწყება ნაშუადღევის $2^1/_2$ საათს.

შაბათს დილით ექსარხოსი ვლადიმერი ილოცავს ცისკარს თავის ეკლესიაში, ხოლო ეპისკოპოსნი ალექსანდრე და ბესარიონი—სიონის ტაძარში; ორივე ეკლესიაში შესრულებულ იქმნება წესი ჯვარ-ცმულის დასაფლავებისა. ცისკარი დაიწყება ნაშუაღამევის 3 საათს.

*** კავკასიის მთავარ-მმართებელს დაუნიშნავს სტიპენდია ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტ ს. გელოვანისათვის და პეტროვსკის სამეურნეო აკადემიის სტუდენტ გ. მორებდაძისათვის.

*** ბ-ნი ტფილისის გუბერნატორი გზავნის ექიმს როტინიანცს გორის მაზრაში და ექიმს ჩიქოვანს—დუშეთისაში, რათა ყველგან ასსენიზაცია და დეზინფექცია მოახდინონ.

ტფილისის მესამე კლასიკურ გიმნაზიის მასწავლებლად ნამყოფმა პ. ი. სმირნოვმა რევოლვერით თავი მოიკლა. საწყალი თურმე დიდი ხნის ავადმყოფი ყოფილა და, თუმცა ბევრი უწამლნია, ვერ მორჩენილა და იმედი გადუწყვეტია. გიმნაზიაში ამ წელიწად ნახევრის წინად მათემატიკას ასწავლიდა და კარგ მასწავლებლადაც ითვლებოდა; შეგირდებსაც კარგად ეპყრობოდა და ყველას უყვარდა თურმე.

*** კავკასიის მკურნალთა საზოგადოების დარბაზში 22 მარტს ექიმმა გაუდელინმა წაიკითხა ლექცია იმის შესახებ, თუ რა ღონის-ძიება უნდა იხმაროს კაცმა, რომ ხოლერა არ შეხვდეს. ხალხი ბლომად დაესწრო. აქვე დაურიგდათ მსურველთ ქართულ, რუსულ და სომხურად დაბეჭდილი ფურცლები ხოლერის შესახებ.

*** აქაურ ფოსტის კანტორას დიდ-ძალი ხალხი მიაწყდა, რიგი გზავნის ფულს და რიგი იღებს. უბრალო რამეს გაგზავნა რომ უნდოდეს კაცსა, მთელ ერთი-ორ საათს გააჩერებენ.

*** ჩვენ მივიღეთ პირველი წიგნი, 1 და 2 ნომერი, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების ჟურნალისა. სხვათა შორის დაბეჭდილია წერილი ბ-ნ ფირალოვისა „მოსავლის სეტყვისაგან დაზღვევის“ შესახებ.

*** გუშინ ტფილისის სამოსამართლო პალატაში საქმის გარჩევის დროს პალატის ბრალმდებელის ამხანაგს, ბ-ნს სტროტონოვს, როცა საბრალმდებელო სიტყვას ამბობდა, გული წაუვიდა. თავმჯდომარემ და წევრებმა საქმის გარჩევა შესწყვიტეს და მკურნალი მოიწვიეს. მკურნალმა მოაბრუნა ბ-ნი სტროტონოვი.

*** ამ წლის 7 აპრილს ტფილისის ოლქის სასამართლოში გაირჩევა საქმე ფატუმ-ბეგ-ბადალ-ბეგოვის და შვილებისა, რომელნიც ედავებიან ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას 24,000 მანეთს, რადგანაც მეუღლე პირველისა და მამა მეორეთა, ფატუმ-ბეგი, 3 თებერვალს ამა წლისა ქ. ბათუმში გრიგალ-ქარისაგან ლიანდაგიდგან გადაგდებულმა ვაგონმა გასრისა.

*** ჩვენ დაწვრილებით შევიტყეთ ის ამბავი ბ-ნ ავგერინოს გაძარცვისა, რომელიც მოხდა სამტრედიის რკინის გზის სადგურს ახლო ამ დღეებში. ბ-ნი ავგერინო მოხუცებული კაცია და დიდი საქმეები აქვს ყვირილაში ქვა-გუნდის წარმოების გამო. ავგერინოს, როგორც სხვა დიდ ვაჭარს ქვა-გუნდისას, ხშირად დაჰქონდა ფული ფოთიდამ, საცა იღებდა ამ ფულს იქაურ საურთიერთო ნდობის საზოგადოებიდამ და ყვირილაში არიგებდა. აი ეს გარემოება შეუმჩნევიათ ბოროტ-მომქმედთ ფოთში და ასდევნებიან ბ-ნს ავგერიონს, რომელსაც მიუღია ბანკიდამ იმ ხანებში 17,000 მან. ერთი და 14 ათასი მანეთი მეორე. 17 ათასი სხვილი ფული ყოფილა და უბეში შეუნახავს, ხოლო 14 ათასი წვრილი ფული საკვაიაჟში ჰქონია და ხელში სჭერია. სამტრედიასთან ბოროტ-მომქმედთ წაურთმევიათ ფული ავგერინოსთვის, ხოლო თითონ ავგერინო ვაგონიდამ გადმოუგდიათ მატარებლის სიარულის დროს. ავგერინო გულ-წასული შემთხვევით უნახავს ლიანდაგზედ მატარებლის შემდგენელს. ბრალი დანაშაულობისა დაედო ფოთის ორს მეფაიტონეს, ჩემიასა და ხუციას, რომელნიც უკვე დაპატიმრებულნი არიან. როგორც ამბობენ, ამათი მოთავე ყოფილა ვიღაც გურული არსენ გოგიბერიძე, რომელიც აგრეთვე უკვე დაპატიმრებულია. ხმა არის, ვითომ ამ საქმეში ზოგიერთი სხვაც ურევიაო და, სხვათა შორის, ისეთიც, რომელიც თითონ იყო მოვალე ამისთანა ავკაცობა ედევნაო. დაპატიმრებას უპირებენ კიდევ რამდენსამე კაცს. ყოველ ამ საქმის გამოძიება და გამოკვლევა იმ თავითვე მიანდო ქუთაისის გუბერნატორმა ქუთაისის სამაზრო პოლიციას. მაზრის უფროსის ბრძანებით, მისი თანაშემწე თ. ჩიქოვანი მხნედ შეუდგა საქმეს. შეპყრობილს გიგობერიძეს უპოვნეს 150 მან. ქაღალდის ახალი კეწ-კეწი ფული. ვინ მოგცაო, რომ უკითხავთ, უთქვამს, რიონის სადგურზე ვიპოვეო. გასინჯეს ბილეთების ნომრები და აღმოჩნდა, რომ ეს ფული სულ ფოთის ბანკიდამ გამოტანილია ავგერინოს მიერ. ამას გარდა, ამავე ბრალდებულს აღმოაჩნდა კალმის დანა ბ-ნ ავგერინოსი. ჩვენ სარწმუნოდ გადმოგვცეს, რომ ქუთაისის გუბერნატორს განკარგულება მოუხდენია, დაავალონ იმათ, რომელნიც სხვა-და-სხვა საქმის გამო დიდს ფულს ატარებენ თან, იყოლიონ გზაზედ შეიარაღებული კაცები და ისე იმგზავრონ ხოლმე.

*** კავკავი: ამ ჟამად კავკავში დიდი შიშიანობა არის ავაზაკების ბრბოსაგან, რომლის კვალს ჯერ ვერ მიაგნეს. ამას წინად ავაზაკებმა აქ ერთი პოლიციელი მოკლეს ღამე. ორი დღის შემდეგ კიდევ ერთს მეფაიტო-

### ხალხური სიმღერა

(წერილი მეთვალყურეს მიერ)

მუშური

ხარო! ხარი ვინ დაგარქვა,
ხარო, სახე-მშვენიერო;
ჩვენ ნუგეშად გაჩენილო,
ქედ-ნაკურთხო, ღონიერო!

—

უღელი ხარი ვიყიდე,
ყანა ავიზიარეო;
მოვხანი, პური მოვიდა,
კევრი დავაბზრიალეო.

—

შენ-კი გენაცვალე, ღმერთო,
ჩვენის გამოსახვისთვისა,
ახლო-ახლო დაგვასახლე
ერთმანეთის ნახვისთვისა!

—

ვხნათ და ვთესოთ, ლხინი ვნახოთ,
ზედ დავლიოთ კამურიო;
თუ ბატონმა შეგვაწუხოს,
გამოვიხსნათ მამულიო.

—

გუთნის დედას რა აცხონებს,
რა შეიყვანს საყდარშია;
კაი დარში თითონ იხნავს,
მოდგურს უხნავს ავდარშია.

—

ასე ჰგონია დუშმანსა,
არცა ჰხვნენ, არცა სთესენო;
არცა უბიათ ხარები,
არცა კალოსა ჰლეწენო!

—

შვილნო, თუ გაიყარენით,
ეგ დიდი სირცხვილი არი;
ერთმანეთის ცქერა-ჭვრეტა
დიდი მთვარე და მზე არი.

—

ცუდია, ცუდი ქვეყანა,
ცუდის აკვანიც ირწევა;
ზოგსა აქვს ლხინი, ქორწილი,
ზოგი სიმწარით იწვება.

—

ამ ტიალს წუთი სოფელში,
ბევრი ამბები ყოფილა:
ყველას ჰკლავს თითო რამ სევდა,
ვინც-კი ამ ქვეყნად შობილა!

—

შენი ჭირიმე, ბაქარო,
თაფლო ტკბილო და შაქარო!
ჩვენ აშენებულ მამულზე
ვინ უნდა დაასახლ-კარო?

—

თემის გამტეხსა ვაჟკაცსა
ნუ დაელევა ჭირიო,
შეურცხვეს ყველგან ულვაში
და გაუშავდეს პირიო.

—

გული სევდით მაქვს სავსეი
შიგ დასცურავენ ბატები;
თუ არ გინდივარ, ძმობილო,
წავალ სხვას შევემატები.

—

ხალხო! ყველასგან დევნილებს
ძმა-ძმას რათ უწევთ მტრობასო,
ისა სჯობს მხარი-მხარს მივცეთ,
უფრო შეშვენის ძმობასო.

—

დედა, ობლების დამყრელი,
კაცის მკვლელს ედარებოდა;
უბეში უჯდა გველები
ძუძუებს ეტანებოდა.

—

დავეხსნათ ჭირვეულობას,
სუფრას ნუ ავარევინებთ,
ნურც მეტსა ვეტყვით ერთმანეთს,
ნურც მეტსა დავალევინებთ.

—

ღმერთო, ნუ შეჰყრი ვაჟკაცსა
ცოლსა ყბედსა და მძინარსო:
ის მოჰკლავს, ის დააბერებს,
ის შეჰყრის წყალსა მდინარსო.

ნეს ცხენები ჩაუჭრეს და წაართვეს. თხუთმეტს ამ თთვეს ქალაქის ფოსტით ავაზაკებს ხელ-მოუწერელი წერილი გაეგზავნათ კავკავში მოვაჭრეთ კირაკოზოვისა და ოგანოვისათვის, რომლითაც ბრძანება გაეცათ: „ოთხასი მანეთი შეახვიეთ წითელ ჩითში და ამა და ამ ალაგას გამოგზავნეთ, თორემ, ცოლ-შვილიანად ყელებს დაგჭრითო“. კირაკოზოვმა და ოგანოვმა ოლქის უფროსს გამოუცხადეს, რომელმაც მაშინვე უბრძანა პოლიციას, მცველები დააყენეთ კიკოზოვის და ოგანოვის სახლებთანაო. ამას წინათ კიდევ ნასრანისკენ, სახელმწიფო გზაზედ, ერთი მეეტლე მოჰკლეს ავაზაკებმა; ამ საქმეზედ ბ-ნი ოლქის უფროსი თვითონ წაბრძანდა ნასრანში და რამდენიმე ქისტი „დაართზგვინა“.

აქ დიდი სიმძვირეა ყველა ხორაგეულისა.

*** ხუმლაგა (კავკავის ოლქი): ამ ჟამად აქ ქუნთრუშამ იჩინა თავი.

ამ თთვის 19 ბარის ოსეთში დიდი თოვლი დასდო და ძალიანაც აცივდა.

*** ბათუმი: 17 მარტს აქაურ სცენის მოყვარეთ ერთის ღარიბ მოსწავლის სასარგებლოდ ქართული წარმოდგენა გამართეს; წარმოადგინეს „ხანუმა“, კომედია ა. ცაგარლისა, და „ცოლი თუ გინდა, ეს არის“. წარმოდგენამ ურიგოდ არ ჩაიარა. სხვათა შორის კარგად ითამაშეს ქ-ბმა სალოროვისამ და აკოფოვისამ.

*** ქვირილა: შარშან განაახლეს გზა-ტკეცილი ბელაგორსა და მარელისს შუა და წრეულ შეუდგნენ გზა-ტკეცილის განახლებას ძირულასა და ბელაგორს შუა.

*** სოფ. ღუდა (იგივე განისა) დუშეთის მაზრა: თებერვლის გასულს, როგორც მოგეხსენებათ, აქ დიდი ზვავი ჩამოწვა და დაიტანა დიაკვანი შიო არგანაშვილი თავის ქალით. ზვავი დაეცა ეკკლესიასაც და შეარყია საძირკვლამდე. ეს ეკკლესია სულ ხუთი წელია, რაც აშენდა. ამ ამბავმა ხალხი ძალიან დააშინა. ჯერ წინადვე არ უნდოდათ ეკკლესიის აშენება, საზვავე ადგილია და ვაი თუ დაგვექცესო. მღვთზედ უნდოდათ ამ მრევლის მიწერა. ამ წლევანდელმა ზვავის ამბავმა ხომ ისე დააშინა სოფელი, რომ მთავრობას სთხოვენ, სხვაგან გადაგვასახლეთ სადმეო.

აქეთ მეტად ავი ამინდებია. 20 თებერვლიდამ სულ თოვს. ხან წვიმას ურევს. თოვლი დიდია და ჯერ, ვინ იცის, როდის აიღებს.

*** ს. ბაკურციხე (სიღნაღის მაზრა): ჩვენ სოფლის მღვდელმა ერთი საარხეოლოგიო ნაშთი იპოვა ეკკლესიასთან მიწის თხრის დროს. დიდად საინტერესო რამ უნდა იყოს, თუმცა ვერავინ ვერ გამოვიცანით, რა არის და რისა ყოფილა. ზოგმა სთქვა უწიხდელი საწეოლიაო და ზოგმა—შანდალიო. სპილენძისა ჰგავს და ჩიბუხსავით მოყვანილია; ერთს მხარეს წვრილია, მეორეს მოძსხო; სიგძით 6 გოჯია და სიგანის 1. კარგი იქნებოდა, რომ მცოდნე არხეოლოგს ან „წერა-კითხვის საზოგადოებას“ გაეგზავნოს.

## მთავრობის განკარგულებანი

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან ავადმყოფობის გამო—ქუსაისის სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოს მდივანი, კოლეჟსკი რეგისტრატორი თავადი ალექსანდრე წულუკიძე.

ებოძათ: შტაბ-როტმისტრობა—ელისაბედ-გრადის საკავალერიო იუნკრის სასწავლებლის პორუჩიკ თავად ერისთავს, როტმისტრობა—45-ის სევერსკის ჯარის შტაბს-როტმისტრს, თავადს აბაშიძეს, პორუჩიკობა—კორნეტებს, თავად აბაშიძეს და ღულაძეს.

დანიშნულ იქმნა—ტფილისის სამოსამართლო პალატის გამიჯვნის უმცროს მოხელეს თანამდებობის აღმასრულებლად ამავე პილატის გამიჯვნის მოხელეს თანაშემწე, კოლეჟსკი ასესორი, თავადი ლეონიძე.

დამტკიცებულ იქმნა თანამდებობაზე—ტფილისის სამოსამართლო პალატის გამიჯვნის უმცროს მოხელეს თანამდებობის აღმასრულებელი, კოლეჟსკი ასესორი უთნელიშვილი.

დანიშნულ იქმნენ: ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უმცროსი მოხელენი—ბათუმისა—სტეფანე მღებრიშვილი და დელიჟანისა—სიმონ ჰიჭინაძე—იმავე კანტორების VI ხარისხის მოხელეებად და მომეტებულ ჯამაგირზე.

გადაყვანილ აქმნა სააქციზო მმართველობას მე-V ოლქის უფროსი კანტროლერი იოსებ ფორაქიშვილი—I ოლქში იმავე თანამდებობაზე.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**თელავი**, 17 მარტს. როცა ფქვილი რვა ცხრა აბაზად ისყიდებოდა ფუთი, მაშინ ფულს შოულობდნენ, ფქვილს ჰყიდულობდნენ. ახლა ფუთი ფქვილი შვიდ აბაზად გახდა და არა ვითარი საშუალება აღარა აქვთ, რომ იყიდონ. გლეხი კაცი აივსო ვალით, მეტის გადახდა აღარ შეუძლიან და ფულის პატრონიც აღარ ანდობს აღარც ერთს ფირქლსა. გლეხი კაცი არავითარ სარგებე ს არ ერიდება: ახლამდის მანეთზე მანეთს სარგებელს ჰპირდება, ფულის პატრონს კი თავნის დაკარგვის შიშით ველარ გაუცია ფული.

ამ მდგომარეობაში არის მთელი შიდა-კახეთი. შველა არსაიდამ არის იმათთვის: არავინა ჰფიქრობს, რომ ამ მდგომარეობიდამ დაიხსნას, ეს მდგომარეობა შეუმსუბუქოს; აღმოუჩინოს საშუალება, ახალ მოსავლამდის როგორმე გამოიკვებოს საწყალმა თავი. ან ვინ იფიქრებს იმათზედ? არც ვიცით: ვინ არის მოვალე, გლეხზედ ფიქრი და ზრუნვა იქონიოს? თვითოეული ჩვენგანი გლეხ კაცზედ ზრუნვას „სხვას“ ავალებს და ეს „სხვა“ მთვარეზე მცხოვრებელთაგანი თუ იქნება! მაშ, ყველასთვის „სხვა“ ვინ არის? გვიჩვენეთ, მიგვითითედ, შორიდამ მაინც დაგვანახეთ, ბატონო, რომ იმას მივმართოთ, იმას შევჩივლოთ ჩვენი უკიდურესი მდგომარეობა,

აგერ სამ თვეზე მეტია, გაზეთი „ივერია“ გაიძახის ქიზიყ-კახეთში შიმშილობაა და მანამ შველა შესაძლებელია, უშველეთო. ნუ მივიყვანთ საქმეს განწირულებამდის, ნუ მოვუცდით შემაშფოთებელს და შემზარავს მსხვერპლსაო. გაიძახის და რა გამოვიდა ამ დაფისა და ნაღარიდამ? სრულიად არაფერი.

ქალაქთა საზოგადოებანი დაეწაფნენ შემოდგომაზედვე სიამოვნების ფიალას, აგერ დიდ-მარხვა გადის და ჯერაც ბაგენი თვისნი არ მოუშორებიათ სიამოვნების ნექტრისათვის. ისინი მონბაზონებზედ ფიქრს უნდებიან და გული მარტო იმათთვის უცემთ მკერდში. ზოგიერთს თავისი ოჯახობაც დაავიწყდათ და სხვისას რ ს იკითხავენ.

სოფლამდის კიდევ, ეტყობა, მგლოადეებელთა ხმამ ვერ მიაღწია, თორემ იქნება სოფელს ხელი გამოეწოდნა მოძმეთა საშველად. ამაშიაც, წარსულის ხოლერიანობისა არ იყოს, გაზეთს გაამტყუნებენ. ეტყვიან, რატომ არ შეგვატყობინეთ, თუ ამისთანა გაჭირვება ჰქონდა ქიზიყსა და კახეთსაო. გახსოვთ, ბატონებო, სამდურავი გაზეთისა? ადრე რომ გაგვებინებინათ სოფლებში ხოლერის გავრცელება, უეჭველად ადრე მივეშველებოდითო. ამ სიტყვებით მეტად სინამდვილით და სამართლიანად დახასიათდა საზოგადო გაჭირვების დროს ჩვენის გულის მოძრაობა, გრძნობათა არევ-დარევა და მოძმეთა შესახებ ჩვენთა მოქმედებათა ჩვენგანვე აწონ-დაწონვა. ამ მხრივ ჩვენი დახასიათება უკეთესად აღარ შეიძლება. აღმატებულადა ვართ დახასიათებულნი.

დიახ, მთელი შიდა-კახეთი გაჭირვებულია და მშველელი-კი არავინ არის. ან ვისა სცალიან კახეთისა და ქიზიყისათვის? ვინც ჩვენის ქიზიყისა და კახეთის სიმშვენიერით სტკბება, ის სად შენიშნავს სადმე კუთხეში მიგდებულს გაჭირვებულსა, ვინ არის დამკვირვებელი, რომ გაჭირვებულნი ათასობით შეამჩნიოს? ისინი საზოგადო სურათით კმაყოფილდებიან. მოგეხსენებათ, რომ ეს საზოგად სურათი ქიზიყ-კახეთისა ენით გამოუთქმელი მშვენიერებაა. კიდეც ეს არის, რომ ამ მშვენიერებით მოხიბლული თვალი ებმით, ებლანდებათ, ვერ დაუნახავთ შემაძრწუნებელი სურათები.

სად არის კახეთ-კიზიყის ახალ-გაზდობაო? იკითხავს მკითხველი. აქ, ბატონო, სახელი „ახალ-გაზდობა“ სალანძღავ სიტყვად გადაქცეულია და ემართლებიან კიდეც. თვით ახალ-გაზდობას თვის ვინაობით დაუმცირებია სიტყვასთან „ახალ-გაზდობა“ შეერთებული წარმოდგენა და მოგეხსენებათ, ყველა სალანძღავი სიტყვები დამამცირებელი ხასიათისაა. ერთი საერთო ნიშანი აქვს კახეთ-ქიზიყის ახალგაზდობას: გაფაციცებით იყურებიან თავისსა და სხვის ჯიბეში. თავის ჯიბეს სხვის ჯიბიდამ დიდად არჩევენ და ამ გარჩევას ხშირად კეტითაც იცავენ, მხოლოდ სხვის ჯიბეს თავის ჯიბიდამ სრულებით ვერ არჩევენ და არ ასცდებათ კეტი, ვინც ამ გაურჩევლობაზედ გაუბედავთ მხილებას. უნიშნოები ცოტანი არიან და პირველთაგან ფრთა მოტეხილები. რას იზავენ ისინი მარტოკა? ისინი „დაცემულ და დავრდომილ არიან ზრახვათა მათთაგან“. იმათი კაკალიც მოკლებულია ჩხრიალის ხმასა.

იქნება ვინმემ ეჭვი შეიტანოს კახეთ-ქიზიყის გლეხთა უკიდურეს მდგომარეობაზედ? უმორჩილესად ვსთხოვ, ერთი ხუთიოდ წამი ჩემთან გაიარგამოიაროს. აი, თუნდა შეჰხედოს იმ გლეხთა, რომელნიც გარს შემორტყმიან მაღალ-მაღალს ყმაწვილს კაცსა. ისინი იმ ყმაწვილიანად სულ გულგულელები არიან. მივიდეთ, დავუგდოთ ყური, რას შესჩივიან იმ ახალგაზდებს: „შენ მაინც გვიშველე რამე, კაცო, ღმერთი არ არის! თუმანში თუმანს სარგებელს უწერთ და ფულს არავინ გვაძლევს მოსავლამდის. რით ვიყიდოთ პური? ან ჩვენ რით ვიმუშაოთ, ან ცოლ-შვილს რა ვაჭამოთ? შენ ხომ სიტყვა გაგივა, მიგვეგზავნე, უთხარი, შესჩივლე მთავრობას, იქნება გვასესხოს. თუ პურით ვერ გავიმართენით, ფული მაინც გვასესხონ და თავის სარგებლით ჩავაბარებთ. შიმშილით ხომ ვერ დავიხოცებით, აბა რა ვქნათ!“

ახლა წამობრძანდით, ბატონო, თელავისა და სიღნაღის ყანთრებზედ. ჰხედავთ, ამ უდიერ სიცივეში რავდენი ტიტველ-შიშველა დედაკაცი და კაცია ატუზული ხელში პატარა პარკებით და ხურჯინებით? აბა დაეკითხენით, რისთვის მოსულან? ჯერ დასთვალეთ, რამდენია? ახლა ერთი ორი საათი მოიცადეთ და ჰნახეთ, რამდენნი მოვლენ, ან რას წაიღებენ. საცდელად ათს, ოცს, ოც-და-ათს თვითვეულად გამოჰკითხეთ: ვინ არიან? საიდამ მოსულან? რამდენნი არიან ოჯახში? რამდენი ფქვილის ყიდვა უნდა? რად ყიდულობენ ცოტას? რას უზავს ერთი ფუთი ფქვილი იმოდენა ქულფათობას? რატომ ბევრს არა ყიდულობენ, რაკი ოჯახში ბევრნი არიან? რად გასჭირებიათ მთელი ტომარა ფქვილის ყიდვა? დედაკაცები რად მოსულან, რატომ კაცები არ მოსულან? გამოჰკითხეთ ყველა ესენი, და მაშინ დაჰრწმუნდებით, რომ მე ფრიად უნიჭო ვარ, ამ საცოდაობის აწერა არ შემიძლიან. ამისთანა მწუხარებით სავსე სურათს მარჯვე კალამი უნდა, რომ მკითხველის გულის სიღრმემდის ჩააღწიოს და შესაფერი თანაგრძნობა გამოიწვიოს.

„აქ ენა უნდა გამოთქმად,
გული და ხელოვანება“.

მე ერთი დამრჩენია, ამ გაჭირვებულთა პირით მივმართო ყველას, ვისაც შეძლება შესწევს და გარემოება ხელს უწყობს სხვა რაიმე შემწეობასთან ერთად იშუამდგომლონ, რომ სოფლის მაღაზიების პურის ფული დროებით სესხად მიეცეთ გაჭირვებულთა, ან არა და ის ფული პურად აქციონ და ასესხონ, მხოლოდ იმ აუცადის პირობით, რომ მართლა გაჭირვებულნი გაიმართნენ. ეს, რაც შეიძლება, მალე უნდა მოხდეს. ყოველი დაკარგული წუთი გამოუბრუნებელ წყვდიადისაკენ წაიყანს გაჭირვებულთა.

ამ გაჭირვებას ზედ დაატყდა მარტის განრისხება. თერთმეტს, ცამეტს და ჩვიდმეტს თოვლი მოვიდა. უკანასკნელის თოვლის შემდეგ ისეთი სიცივე დაიჭირა, რომ საღამოს შვიდ საათზედ ჰყინავს. კვირტ შეთამაშებულ ვაზს უეჭველად დიდად აზარალებს. ეს-ღა აკლდა გაჭირვებულს გლეხს და უამისოთაც უკვე განახევრებულს, შეწუხებულს და გამხვრჭალს შინაურს პირუტყვსა! ყველა ამას ზედ დაუმატეთ გაჭირვებული მდგომარეობა სახელწიფო გლეხისა, რომელიც სახელმწიფო ტყეზეა დამყარებული, განსაკუთრებით ჭიგვის შესახებ და გამოვა, რომ

„აწ სოფელმა უარესი
ჭირი ჭირსა მიგვისართა,
არ დასჯერდა ბედი ჩვენი
მათ პატიჟთა მრავალ გვართა“.

ნადიკვრელი

## შევუდგეთ!

ჰენრიკ სენკევიჩისა

(შემდეგი *)

### V

განვლო ერთმა წელმა. ახალგაზდა მეუღლეს ქმარი განუსაზღვრელს პატივსა სცემდა,—ცინნასთვის ანტეა თვალთა სინათლეც იყო, სიყვარულიც, სიბრძნეც, სულიც, გონებაც. მაგრამ ცინნა რომ თავის ბედს ზღვას ადარებდა, დაავიწყდა, რომ ზღვამ ღელვაც იცის ხოლმე. ერთის წლის შემდეგ ანტეა უცნაურმა სენმა შეიპყრო. ანტეას სიზმრები საშინელ მოჩვენებად გადაიქცა. ანტეას სახეზედ გაჰქრა განთიადის სხივები; თვალები ჩაუცვინდა და ვარდის ფერი ლოტოსი თეთრს ლოტოსს დაემგზავსა, ისეთს თეთრს, როგორც მომაკვდავის სახეა. შეამჩნიეს, რომ ცინნას სახლს ყვავ-ყორანნი დასტრიალებდნენ და ეს-კი ეგვიპტელების აზრით სიკვდილის მომასწავებელია. ანტეას მოჩვენებანი თა-და-თან უფრო საშიში შეიქმნა. როცა შუადღისას მზე მთელს ქვეყანას ნათელსა ჰფენდა და ქალაქი იდუმალის სიჩუმით იყო მოცული, ანტეას მოეჩვენებოდა ხოლმე, ვითომ მის გარეშე უხილავ არსებათა ფეხის ხმა ისმოდა და ჰაერში-კი ჰხედავდა უსულო, გაციებულ, გამხმარ და გაყვითლებულ გვამის სახეს, რომელიც შავის, საშინელის თვალებით უყურებდა, ისე გაშტერებით, თითქოს ეძახდა, თან წამომყევი იქ, სიბნელითა და საიდუმლოებით სავსე წყვდიადშიო.

მაშინ ანტეას შიშისაგან აცახცახებდა, ფერი მისდიოდა, ცივს ოფლს ასხავდა და ეს უმშვენიერესი ღვთაება თავის საყვარელ მეუღლისა, უძლურს, შეშინებულს ბავშვს ემსგავსებოდა, ცინნას მკერდს ეკვროდა და გაფითრებულ ტუჩებით შეჰფოფინებდა: „მიშველე, ქაი, მიშველე!“

ცინნა მზად იყო სცემოდა ყოველ გვარ მოჩვენებას, რომელსაც-კი პერსეფონა დედამიწის უფსკრულიდგან ამოგზავნიდა, მაგრამ ამაოდ შესცქეროდა გარემოს. არსად არაფერი სჩანდა. ქალაქი მზის ცხელის სხივებით იყო მოფენილი; ზღვას სიცხე-პაპანაქება სწვავდა, და იდუმალ მდუმარებაში მხოლოდ ყვავყორანთა ჩხავილი მოისმოდა, რომელნიც შეუპოვრად თავს დასტრიალებდნენ ცინნას სახლსა. მოჩვენებანი უფრო ხშირად არ ასვენებდნენ საბრალო ანტეას და ბოლოს ყოველ დღე სულს უხუთავდნენ. სადაც უნდა ყოფილიყო ანტეა, სახლში, გარედ, ყველგან თან დასდევდნენ აჩრდილსავით. ცინნამ მკურნალების რჩევით მოიხმო ეგვიპტეს სარბუკინები და ბედუინები. ისინი სცდილობდნენ სხვა-და-სხვა გვარ საყვირითა და თავისებურ მუსიკით გაექარწყლათ უხილავ არსებათა ხმაურობა.

მაგრამ ამაოდ. ანტეას მაინც მუდამ ესმოდა მოჩვენებათა საშიში ხმაურობა და როდესაც მზე მაღლა იდგა ხოლმე და ადამიანის ჩრდილი ისე იშლებოდა ფეხქვეშ, როგორც მხრებიდგან ჩამოვარდნილი შავი წამოსასხამი, მაშინ გაფიცხებულ ჰაერში ჩნდებოდა საშინელის გვამის სახე. გაშტერებულ, უსიცოცხლო თვალებით შესცქეროდა

*) იხ. „ივერია“ № 62.

ანტეას და მერე ნელნელა უკან იწევდა, თითქოს ეუბნებოდა: „წამომყევიო“.

## VI

ხან და ხან ანტეას ელანდებოდა, რომ უსულო გვამის ბაგენი იხსნებოდა, იქიდგან გამოდიოდნენ შავი, საზიზღარი ბუზანკალები და ანტეასკენ მოფრინავდნენ. საკმარისი იყო, ანტეას საზიზღარი მოჩვენება მოჰგონებოდა, რომ განუსაზღვრელს შიშს აეტანა. ბოლოს სიცოცხლე ისეთს წამებად გარდაექცა, რომ ცინნას ეხვეწებოდა, ან შენის ხელით გულს მახვილი დამეც და მომკალი, ან ნება მომეც, საწამლავი დავლიოვო.

ცინნამ კარგად იცოდა, რომ ამას ვერ შესძლებდა. ანტეას გულისთვის მახვილით თუნდ თავის ყველა ძარღვს გადიჭრიდა და დაიცლებოდა სისხლით, მაგრამ თვით ანტეას-კი სასიკვდილოდ ვერ გაიმეტებდა. როცა წარმოიდგენდა ანტეას მკვდარს, თვალებ დახუჭულს, გაციებულს, თვისისავე ხელით განგმირულს გულს,— ჰგრძნობდა, რომ ჯერ ჭკუაზედ უნდა შევიშალო და შემდეგ ანტეას სიცოცხლე მოვუსპოვო.

ერთმა ბერძენმა მკურნალმა უთხრა ცინნას, რომ ეგ მოჩვენება ჰეკატა არისო. ამ მკურნალის აზრით, ანტეასთვის შველა არსით სჩნდა, რადგანაც ვინც ჰეკატას იხილავს, სიცოცხლე უნდა გამოესალმოსო. მაშინ ცინნამ, რომელსაც უწინ ჰეკატას შესახებ რწმენა სიცილადაც არა ჰყოფნიდა, ეხლა ჰეკატას მსხვერპლი შესწირა. მაგრამ ამაოდ. მეორე დღეს საზარელ გვამის სახე ისევ ისე შესცქეროდა ანტეას, უსიცოცხლო, საშინელ თვალებით.

ანტეას პირბადე ჩამოაფარეს, მაგრამ საზარელ გვამის სახე მაინც თვალ-წინ ედგა. თუ ოთახში ბნელოდა, გვამი კედელზედ ჩნდებოდა ხოლმე და წყვდიადის სიბნელეში თეთრად მოჩანდა. საღამოობით ანტეა უკედ იყო და ისე მაგრა ეძინა, რომ ცინნასა და ტიმონს არა ერთხელ ეგონათ, საუკუნოდ განისვენა და ვეღარ განიღვიძებსო. ბოლოს ისე დასუსტდა, რომ სიარული აღარ შეეძლო და საკაცით დაჰყავდათ.

ცინნას გულში ისევ განახლდა მიძინებული , სულის შემხუთავი გრძნობა, უწინდელი სულის კვეთება. ცინნას თან ანტეას განშორება აშინებდა და თანაც ჰფიქრობდა, რომ ის ჩემი გრძნობა წინამორბედი იყო ამ უბედურებისა, იმ გრძნობას, რომელზედაც ტიმონს ველაპარაკებოდი, რაღაც კავშირი უნდა ჰქონოდა ამ უბედურებასთან. იქნება მოხუცი ბრძენიც ამასვე ჰფიქრობდა, მაგრამ ცინნას ძლიერ ეშინოდა ამ საგანზედ ტიმონთან ლაპარაკისა. ავადმყოფი-კი ისე ჰქნდებოდა, როგორც ჰქნდება ვარდი, რომლის გულშიაც შხამიანს მწერს ბუდე გაუკეთებია.

თუმცა იმედი არსაიდგან სჩნდა, მაგრამ ცინნა მაინც ყოველ გვარ ღონისძიებას ხმარობდა ანტეა სიკვდილისაგან გადაერჩინა. ხან მემფისს წაიყვანა, მაგრამ იქაც, პირამიდებთან ახლოს , ანტეას მოჩვენებანი არ მოშორდნენ; ხან ისევ ალექსანდრიაში დაბრუნდა და მოიხმო ანტეას მოსარჩენად მთელი ხროვა ჯადოქართა, რომელნიც ხალხს ატყუებდნენ. ცინნა საშველს ვერსადა ჰხედავდა და ამიტომ ყოველ გვარ ღონისძიებას ეჭიდებოდა.

ამ დროს ალექსანდრიაში მოვიდა ცეზარიიდგან სახელოვანი ექიმი, ებრაელი იოსები, ძე კუზასი. ცინნამ იმ წამსვე მოიხმო ეს მკურნალი და მალე ისევ გულში იმედი გაეღვიძა. იოსებს რომაელთა და ბერძენთა ღმერთები არა სწამდა და ამიტომ მაშინვე გამოაცხადა, ჰეკატა აქ არაფერ შუაშიაო. ამ ექიმმა სთქვა, უფრო საფიქრებელია, რომ ავმა სულმა შეიპყრო ავადმყოფიო და ურჩია ცინნას, ანტეა ეგვიპტედგან წაეყვანა, რადგანაც იოსების აზრით, ავ სულების გარდა, სინოტიეცა სწყენდა ავადმყოფს . ექიმმა ურჩია,—იქნება იმიტომ, რომ თითონ ებრაელი იყო,— ანტეა იერუსალიმს წაეყვანა, სადაც ვერც ავი სული გაჰბედავს მისვლას და სადაც მშრალი და საღი ჰავა არისო.

ცინნა ადვილად დაჰყვა ამ რჩევას, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მეტი გზა არ იყო, და მეორეც იმიტომ, რომ იერუსალემის მთავარ-მმართებლად ნაცნობი კაცი ეგულებოდა.

მართლაც პროკურატორი პონტი დიდის სიხარულით დაუხვდა ცოლქმარს და თავისი საზაფხულო სახლი დაუთმო, ქალაქის მახლობლად. მაგრამ ცინნას ჯერ ისევ იერუსალიმში მისვლამდე გაუქარწყლდა იმედი. საზარელ გვამის სახე საშინელის თვალებით გემხედაც მოსვენებას არ აძლევდა ავადმყოფს და როცა იერუსალიმს მოვიდნენ, აქაც ისე ელოდდა ყოველ დღე შუადღისას საშინელს მოჩვენებას, როგორც ალექსანდრიაში.

აქაც ყოველ დღე ისევ ის ჰმუნვა, ისევ ის შიში, სასოწარკვეთილება და ულმობელ სიკვდილის მოლოდინი.

## VII

თუმცა პონტის სასახლის აივანს ახლო პატარა ბაღჩა და შადრევანიც იყო, მაგრამ ძლიერა ცხელოდა. აივნის მარმარილოს ქვები საშინლად იყო მზისაგან გაფიცხებული. სასახლის ახლო ერთი დიდი ხე იდგა, რომელიც თავის ტოტებით კარგა დიდ ადგილსა ჩრდილავდა. ამ ადგილას წყნარი, გრილი ნიავი უბერავდა. ცინნამ უბრძანა მსახურთ, ანტეას საკაცე ამ ადგილს დაედგათ; საკაცე მორთეს სუმბულითა და ვაშლის ხის ყვავილებით. ცინნა გვერდს მოუჯდა მეუღლეს, თავის ხელით ანტეას ბროლსავით თეთრს ხელს შეეხო და ჰკითხა:

— კარგია აქ ყოფნა, ჩემო კარგო?

კარგია!—ნელის ხმით უპასუხა ანტეამ და თვალები დახუჭა, თითქოს ჩაეძინაო. სიჩუმე ჩამოვარდა. გრილი სიო ხის ფოთლებს ოდნავ აშრიალებდა. საკაცის ახლო მზის სხივი გამოჩნდა, რომელსაც ხშირ ფოთლებ შუა გზა გამოეგნო. იქვე სადღაც ახლო ჭრიჭინას ხმა მოისმოდა.

ავადმყოფმა თვალები გაახილა.

— ქაი, მართალია, ვითომ ამ ქვეყანაში ვიღაც ფილოსოფოსი ყოფილა, რომელიც ავადმყოფებს არჩენს?

— აქ მაგ გვარ კაცებს წინასწარმეტყველებს ეძახიან,—უპასუხა ცინნამ. მეც შევიტყე, რომ ვიღაც წინასწარმეტყველი აღმოჩენილა აქ; მინდოდა მომეხმო, მაგრამ მერე გავიგე, რომ ის კაცი მატყუარა ყოფილა. ამას გარდა, თურმე აქაურს წმინდანებს და ხალხის სარწმუნოებას უარჰყოფდა და პროკურატორმაც სიკვდილით დასჯა გადუწყვიტა; დღეს ჯვარს უნდა აცვან.

ანტეამ თავი ჩაღუნა.

— შენ დრო მოგარჩენს, ჩემო კარგო, ჟამთა ვითარება,—უთხრა ცინნამ, როცა ანტეას დაღონება შეატყო.

— დრო, ჟამთა ვითარება,—წყნარადა სთქვა ანტეამ, დრო სიკვდილის მსახურია, და არა სიცოცხლისა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა; აქა იქ, ანტეას მახლობლად, მზის შუქი, ხის ფოთლებ შუა გამომკრთალი, თითქოს ეთამაშებოდა მწვანით მოსილს ადგილს. ჭრიჭინას ხმა უფრო მეტად მოისმოდა. გარღვეულ კლდიდგან გამოძვრნენ პატარა ხვლიკები და მზეზედ თბებოდნენ.

ცინნა დრო და დრო ანტეას შეხედავდა ხოლმე და გულში ჰფიქრობდა: არა ვითარი საშუალება აღარ დამრჩა, მორჩენის იმედი აღარ არის და დღეს თუ ხვალ ამ ჩემს ღვთაებას ბოლო მოეღება და აღარა დამრჩება რა მის მოსაგონებლად...

ეხლაც ანტეას, თვალებ დახუჭულს, ყვავილებით შემოსილ საკაცეში მისვენებულს, მკვდრის ფერი ედო.

— „მეც შენ გამოგყვები“,— ჰფიქრობდა ცინნა.

ამ დროს შორიდგან ფეხის ხმა მოისმა. ანტეას სახე უფრო გაუფითრდა. სუნთქვა გაუჭირდა და გულის ფრიალისაგან მკერდი უღელავდა. საბრალოს ეგონა, მოვიდა ჩემის განსაცდელის დრო და საცაა ის საზიზღარი გვამიც გამოჩნდება და საშინელის თვალებით დამაცქერდებაო. ცინნამ წყნარად მოჰკიდა ხელი და სცდილობდა დაემშვიდებინა.

— ანტეა, ნუ გეშინიან, ნუ, ეგ ფეხის ხმა მეც მესმის.

და ცოტა ხანს შემდეგ დაუმატა:

-- ჩვენი ფონტი მოდის აქეთკენ.

მართლაც ამ დროს გამოჩნდა პროკურატორი, რომელსაც თან ორი მონა ახლდა. პროკურატორი შუა-ხნის კაცი იყო, რგვალი პირის სახე ჰქონდა და შედიდურად გამოიყურებოდა, მაგრამ ამასთანავე სახეზედ დაქანცულობა ეტყობოდა.

— საღამი შენ, კეთილშობილო ცინნავ და შენც, მშვენიერო ანტეავ,—სთქვა პილატემ და ჩრდილისაკენ გაეშურა. წუხანდელ სიცივის შემდეგ ასეთი ცხელი დღე დაიჭირა!.. ბედნიერ იყოს ეს დღე თქვენთვის და ანტეას ჯანმრთელობაც ისე აყვავდეს, როგორც ეგ სუმბულები და ვაშლის ყვავილები აყვავებულა.

— სალამი შენც. გაგიმარჯოს!— მიუგო ცინნამ.

პროკურატორი ქვაზედ ჩამოჯდა, შეხედა ანტეას, წარბები შეიჭმუხნა და სთქვა:

— მარტოობა აჩენს დარდსა და ავადმყოფობას,—როცა ადამიანი ხალხში იმყოფება, შიში არ მიეკარება. ამიტომ კარგს რჩევას მოგცემთ. საუბედუროდ, ჩვენ ცეზარიისა ან ანტიოქიას არა ვართ, აქ ვერც გასართობს რასმე ნახავს კაცი, ვერც დოღს და ვერც თამაშობას. ცირკი რომ გამართოს ვინმემ ამ ქვეყანაში, აქაური ფანატიკოსები მეორე დღესვე დაანგრევენ. აქ მხოლოდ ერთი სიტყვა მეფობს: „კანონი“, მაგრამ ამავე კანონს ყველაფერი ეწინააღმდეგება. მე რომ მკითხოთ, სკიფიაში მირჩევნიან ყოფნა, ვიდრე აქ...

— მაგით რა უნდა სთქვა?

— ჰო, მართალია, ლაპარაკის საგანს დავშორდი. ეგ სულ ჩემი საქმეებისა და მზრუნველობის ბრალია. მოგახსენეთ, რომ ხალხში ადამიანის გულს შიში არ მიეკარება მეთქი. აი დღეს შეგიძლიანთ ერთის სანახავით დასტკბეთ. ასეთს ადგილს ცოტასაც უნდა დასჯერდეთ. ყველაზედ უფრო საჭირო-კი ის არის, რომ შუა-დღის დროს ანტეა ხალხში იყოს. დღეს სამი კაცი ჯვარს უნდა აცვან. ეს სანახავი სულ არარაობას მაინც სჯობიან. ამას გარდა, ამ ჟამად, პასექის დღესასწაულის გამო, იერუსალიმში გროვდება ყოველ მხრიდგან აუარებელი მაწანწალა ხალხი. შეგიძლიანთ, რამდენიც გენებოთ, დასტკბეთ ამ ხალხის ყურებით. მე ვუბრძანებ, რომ ჯვრებთან ახლო მოგიმზადონ ადგილი. იმედი მაქვს, რომ სამთავენი ვაჟკაცურად დაუხვდებიან სიკვდილს. ერთი მათგანი,—საკვირველი კაცია,— ამტკიცებს, ძე ღვთისა ვარო. ეს კაცი მტრედსავით წყნარი და მშვიდია და მართლაც ისეთი არაფერი რამ ჩაუდენია, რომ სიკვდილის ღირსი იყოს.

— და მერე შენ-კი სიკვდილი მიუსაჯე?

— მე მსურდა მხოლოდ თავიდგან უსიამოვნება ამეცდინა და ებრაელთა ტაძარის მსახურნი არ ამეყაყანებინა. უამისოდაც, ვინ იცის, რამდენს საჩივარს ჰგზავნიან ჩემზედ რომში. გარდა ამისა, ის ხომ რომის მოქალაქე არ არის.

— და განა ამიტომ ნაკლებად დაიტანჯება?

პილატემ ცინნას პასუხი არ გასცა და მხოლოდ ერთის წამის შემდეგ ისევ ლაპარაკს მოჰყვა და თითქოს თავის თავს ეუბნებოდა:

— ერთი სიტყვა არის, რომლის გაგონებაც ძლიერ მეჯავრება,—«უმწვერვალესობა». ვინც ჩემთან ამ სიტყვას წარმოსთქვამს, მთელ დღეს გულის სიმშვიდეს მომაკლებს. კაცი ყოველთვის ისე უნდა მოიქცეს, რომ არც მწვადი დასწვას არც შამფური. აქ ეს ჭეშმარიტება სრულიად არა სწამთ. ვერ წარმოიდგენთ, როგორ ვიტანჯები! ვერსად ვერ ნახავთ აქ ვერც სიმშვიდეს, ვერც ზომიერებას... არც ხალხი მისდევს ზომიერობას, არც ბუნება... ეხლა, მაგალითად, გაზაფხულია; ღამე საშინლად ცივა, და დღისით-კი ისეთი სიცხე პაპანაქებაა, რომ გაფიცხებული ქვები ფეხსა სწვავს და სიარული გვიძნელდება. ჯერ შუადღე შორს არის, და აბა ამ სიცხეს უყურეთ! და მერე როგორი ხალხია აქაური ხალხი. არა, ისევ სჯობს გავჩუმდე. მე აქ მხოლოდ იმიტომ ვსცხოვრობ, რომ საჭიროება მოითხოვს. მაგრამ მე ისევ საგანს ავსცდი. გირჩევთ, წახვიდეთ და სეირს უყუროთ. დარწმუნებული ვარ, რომ ის ნაზარეველი სიკვდილის დროს არ შედრკება. მე სრულებით სასტიკი კაცი არა ვარ. ვუბძანე, ლელწამით ეცემათ; მეგონა ამით სიკვდილს გადავარჩენდი. როცა ლელწამით სცემდნენ, კრავსავით ითმენდა და ხალხსა ლოცავდა. როცა სისხლი სდიოდა, თვალნი თვისნი ცას აღაპყრო და ლოცულობდა. სწორედ რომ პირველადა ვხედავ ჩემს სიცოცხლეში ასეთს საკვირველს კაცსა. ჩემმა ცოლმა ხომ ერთს წამს არ მომასვენა: „ნუ დასჯი უბრალო კაცსაო“, აი რას ჩამჩიჩინებდა მთელ დღეს. მეც მსურდა განმეთავისუფლებინა. ორჯელ გამოველ სამსჯავროდგან და მივმართე მღვდელ-მთავართა და საზიზღარს ბრბოს. ყველამ ყელი მოიღერა და ყვირილს მოჰყვნენ: „ჯვარს აცვნ, ჯვარს აცვნ“!

— მერე შენც დასთანხმდი?—ჰკითხა ცინნამ.

— მაშ რა მექნა? ქალაქში აჯანყება მოხდებოდა და მე-კი აქ იმისთვისა ვარ, რომ მშვიდობიანობა დავიცვა. მე ისეთის ხასიათის კაცი ვარ, რომ თუ რომელსამე საქმეს მოვკიდე ხელი, უნდა დავაბოლოვო კიდეც. ამასთანავე თავის დღეში უკან არ დავიხევ და საზოგადოების კეთილდღეობისათვის ერთის კაცის სიცოცხლეს გავსწირავ კიდეც, მით უფრო, რომ იმ ნაზარეველს არავინ იცნობს... მით უფრო ცუდია მისთვის, რომ რომაელი არ არის.

— განა მზე მარტო რომს ანათებს?—ჰკითხა ანტეამ.

—ჩემო კეთილო ანტეავ—მიუგო პილატემ,—გიპასუხებდი, რომ მზე მხოლოდ რომაელთა ძლიერებისთვის უნდა ანათებდეს და იმიტომ უნდა მოვსპოთ ყველა ის, რაც ამ ძლიერებას ფესვს უთხრის. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, გემუდარები: ნუ მთხოვ, ჩემის გარდაწყვეტილების შეცვლას. აი, თუ გინდა ცინნასა ჰკითხე, რაკი ერთხელ სიკვდილი მიუსაჯე იმ ნაზარეველს, მხოლოდ ცეზარს-ღა შეუძლიან ამ გარდაწყვეტილების გაუქმება. ძლიერ გულითაც რომ მსურდეს, ეხლა ვეღარ დავიხსნი სიკვდილისაგან. მართალს არ ვამბობ, ქაი?

— მართალია.

ანტეას ეს სიტყვები არ ესიამოვნა და წყნარად, თითქო თავის თავს ეუბნებაო, წარმოსთქვა:

— მაშ შესაძლებელი ყოფილა კაცი უდანაშაულოდ იტანჯებოდეს და მერე მოჰკლან კიდეც.

— უდანაშაულო კაცი არსად მოიპოვება,—მიუგო პილატემ.—იმ ნაზარეველს ავაზაკობა არა ჩაუდენია-რა, და ამიტომ, როგორც პროკურატორს, ხელი დამიბანია და მის ცოდოში არა ვდგები. მაგრამ იმის მოძღვრებას-კი უარ-ვყოფ. განგებ დიდხანს ველაპარაკე და დავრწმუნდი, რომ რაღაც უცნაურ მოძღვრებასა ქადაგებს. ეს მოძღვრება ძლიერ ძნელი გასაგებია. ვინ იტყვის, სათნოება მეტი ბარგიაო... რასაკვირველია მე ამას ვერ ვიტყვი. მაგრამ თვით სტოიკები მხოლოდ იმას ამბობენ, რომ ყოველ გვარი უბედურება უნდა ავიტანოთო... ის-კი არავის უთქვამს, უარ-ჰყავი შენი სარჩო-ქონება და ღლევანდელი სადილიც-კიო. ცინნა,—შენ გონიერი კაცი ხარ,—აბა მითხარი, რას იტყვი, რომ სრულიად უმიზეზოდ, აი ეს ჩემი სასახლე, რომელშიაც თქვენ ეხლა სცხოვრობთ, ავიღო და იმ მაწანწალებს ვუფეშქაშო, ფეხშიშველნი რომ დაეხეტებიან მზეზედ? ის ნაზარეველი-კი სწორედ ამასა ჰქადაგებს. იმასაც ამბობს, ყველანი ერთ გვარად უნდა გიყვარდეთო: ებრაელი ისე, როგორც რომაელი, რომაელი ისე, როგორც ეგვიპტელი, ეგვიპტელი ისე, როგორც აფრიკელი და სხვა. სწორედ გითხრა, ესეც საკმარისია მის დასასჯელად. მაგრამ როცა საქმე მის სიკვდილ-სიცოცხლეზედ მიდგება, თავი ისე უჭირავს, ვითომ ეს საქმე სრულიად მე არ შემეხებაო... ხალხსა ლოცავს და თითონაც ლოცულობს. მე სრულიად

მოვალე არა ვარ იმ კაცისთვის ვიზრუნო, ვინც თავის თავისთვის არა ზრუნავს. ვინც ამ ქვეყნად ზომიერებას არ მისდევს, უგუნური კაცია. ამასთანავე ის ნაზარეველი ამტკიცებს, ძე ღვთისა ვარო და ამით ხალხს აჯანყებს, მაშასადამე მავნე კაცი ყოფილა. დეე, გულში რაც უნდა იფიქროს, მაგრამ ხალხს რაღად აჯანყებს? მე არა მრწამს-რა იმის მოძღვრებისა. ვსთქვათ, მე ჩვენი ღმერთებიც არა მრწამს,—ეს ჩემი საქმეა. მაგრამ მაინც ვაღიარებ ჩვენის სარწმუნოების საჭიროებას,—ამას საქვეყნოდაც ვიტყვი,—რადგანაც ჩემის აზრით, გაუნათლებელ ხალხისთვის სარწმუნოება—აღვირია. დასასრულ იმ ნაზარეველისთვის სიკვდილი საშიში არ უნდა იყოს, რადგანაც ამტკიცებს, მკვდრეთით აღვსდგებიო.

ცინნამა და ანტეამ ერთმანეთს გაკვირვებით შეხედეს.

— მკვდრეთით აღსდგება?

— დიაღ, და სწორედ სამ დღეზედ,—ასე ამბობენ იმის მოწაფენი. თვითონ ნაზარეველისთვის-კი დამავიწყდა ამ საგანზედ მეკითხნა რამ. მაგრამ სულ ერთია, სიკვდილი ყოველ-გვარ პირობისაგან ანთავისუფლებს ადამიანს. და რომ არ აღსდგეს კიდეც, არას იზარალებს, რადგანაც თითონვე ამტკიცებს, რომ ნამდვილი ბედნიერება და დაუსრულებელი სიცოცხლე მხოლოდ სიკვდილს შემდეგ იწყობაო. იმის სამოახე უფრო ნათელია, ვიდრე ეს, მზის სხივით მოფენილი ქვეყანა. ის ამტკიცებს, რომ ვინც ამ ქვეყნად დიდად იტანჯა, უფრო ადვილად ეღირსება სამოთხესაო. საკმარისია მხოლოდ სიყვარული, სიყვარული და სიყვარულიო.

უცნაური მოძღვრებაა!—სთქვა ანტეამ.

— და ხალხი-კი იძახოდა! „ჯვარს აცვითო“?—ჰკითხა ცინნამ.

— ეგ სრულიად საკვირველი არ არის. ამ ხალხის გული სიძულვილით არის ავსილი, თორემ სიყვარული ჯვარს უნდა აცვან?—სთქვა პილატემ.

ანტეამ შუბლზედ ხელი მოისვა.

— დარწმუნებული-კი არის, რომ სიკვდილს შემდეგ ადამიანისთვის კიდევ-ღა იქნება სიცოცხლე და ბედნიერება?

— დიაღ, და სწორედ ამიტომ არ აშინებს არც წამება, არც სიკვდილი.

— ქაი, რა კარგი იქნებოდა, ყველა ეს რომ მართალი იყოს!

და ცოტა ხანს შემდეგ კვლავ იკითხა:

— საიდგან იცის მერე, რომ ადამიანს სიკვდილის შემდეგაც სიცოცხლე აქვს მინიჭებული?

პილატემ ხელი დაიქნია.

— ასე ამბობს, ყველა ეს მაუწყა ყოველ ადამიანთა მამამ, რომელიც ებრაელთათვის ისეთივე ღმერთიაო, როგორც ჩვენთვის იუპიტერი, იმ განსხვავებით, რომ ნაზარეველის სიტყვით, ეს ღმერთი ერთია და ყველასთვის მოწყალე.

— რა კარგი იქნებოდა, ქაი! რა კარგი იქნებოდა!—ისევ იმეორებდა ავადმყოფი.

ცინნას რაღაც უნდა ეპასუხნა, მაგრამ დაფიქრდა და ხმა აღარ ამოუღია. პილატე ამ დროს ისევ ნაზარეველზე ფიქრობდა. შემდეგ წამოდგა და ცინნასა და ანტეას გამოემშვიდობა.

უცებ ანტეამ წამოიძახა:

— ქაი, წავიდეთ, ვნახოთ ის ნაზარეველი.

— დაეჩქარეთ,—სთქვა პილატემ,—საცაა წაიყვანენ კიდეც.

(დასასრული იქნება)

## წერილი რედაქციის მიმართ.

ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის საშუალებით, უგულითადესი მადლობა გამოუცხადო, როგორც ჩემის, აგრედვე ჩემის შეგირდების მხრით ბაქოელს ქართველთ, რომელთაც ჩემდა რწმუნებულს ფშავლის სასოფლო სკოლას დაუგზავნეს ჟურნალი „ჯეჯილი“. პირველი ნომერი უკვე მივიღეთ მარტის ნახევარში.

ფშავლის სკოლის მასწავლებელი ათ. რობიტაშვილი

20 მარტი 1893 წ.

სოფ. ფშაველი

# დეპეშა

24 მარტი

**პარიჟი.** დიუპუი უარს ამბობს კაბინეტის შედგენაზე.

**ფლორენცია.** სტატს-სეკრეტარი გირსი, როგორც ამბობენ, აქედგან გაემგზავრება 11 აპრილს ზალცბურგისკენ. დედოფალმა ვიქტორიამ თავისი ადიუტანტი გაუგზავნა გირსსა ამბის გასაგებად, ხომ კარგად არისო.

პეტერბურგის ბირჟა, 19 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,60 | 7,63 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 152 | 153 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 240¾ |
| —მეორისა | — ,, | — ,, | 220 |
| 4% მესამე სესხისა. | 99³/₉ | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | 101⅛ | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | — ,, | 102 | — ,, |
| 5% | 100 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | — ,, | 102 | — ,, |
| 5% | 100 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99½ | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო ატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

მ ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს 52 წ. საღ.

„ . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 აათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

# განცხადებანი





ამხანაგობა „ჰიგიენა“ ლიზოლინი ცუდის სუნის მომსპობი წამალი

ნება-დართულია პეტერბურგის ექიმთა გამგეობისაგან. იყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქის მაღაზიებში. ბლომად დაკვეთა შეიძლება

პეტერბურგის სატეხნიკო ქიმიურ ლაბორატორიისაგან

С.-П.-Б. площ. Александринск. театра, 9.
Москва, Никольская, д. Шереметьева.
Варшава, Новый Свѣтъ, 37.

ოცდა-ხუთ მანათად

იყიდება ნახმარი ავეჯეულობა: სუბთად გადაკრული **დივანი**, ორი **კრესლო**, ერთი **დივნის სტოლი** და ერთიც **ლომბერის სტოლი**. გოლოვინის პროსპექტი, ონანოვის სახლი, № 22. დვორნიკს ეკითხოს. (1—1)

კბილის ექიმი
**ა. ი. ორბელი**
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
**კვირა-უქმე დღეებში**
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—34)

## საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან

საზოგადოების მმართველობა პატივისცემით აუწყებს **ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა, თამბაქოსა, სვიისა**, და **ბამბის** ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება **ცალკე განყოფილება** ყოველ ზემოხსენებულის **სეტყვისაგან დაზღვევისათვის.** ვისაც სურს ჩაეწეროს საზოგადოების წევრად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეტყვისაგან უნდა მიჰმართოს საზოგადოების სააგენტოს, რომელიც იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა დილის 9-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(50—10) წარმომადგენელი კავკასიისათვის დ. ქ. თუთაევი

## სააღდგომო მისალოცად!

„ქართველთა ამხანაგობის“ გამოცემანი

**აკაკი წერეთლის**
თხზულებანი
**ტომი I ლექსები**
ლამაზ ყდით 2 მ. 50 კ.

**ალ. ყაზბეგის**
თხზულებანი
ტ. I ლამაზ. ყდით 2 მ. 50 კ. უყდო 1 მ. 20 კ.
„ II „ „ 2 მ. 50 კ. უყდო 1 მ. 20 კ.
„ III „ „ 2 მ. 50 კ. უყდო 1 მ. 20 კ.
„ IV „ „ 2 მ. 50 კ. უყდო 1 მ. 20 კ.

თხზულებანი
**ი. დავითაშვილისა**
ლამაზი ყდით 1 მ. 25 კ.

**ილია ჭავჭავაძის**
თხზულებანი
ტ. I ლექს. და პოემ. 1 მ. 20 კ.
„ II მოთხრობანი, ლამაზი ყდით . . . 2 მ. 50 კ.
იგივე უყდო . . 1 მ. —
ტ. IV „ი ზ ა“ თარგმანი ლამაზ ყდ. 3 მ. —

**„ბ ნ ე ლ ი“**
მოთხრობა „მელანიასი“
ლამაზ ყდით . „ „ 90 კ.

**„ზ ლ ა პ რ ე ბ ი“**
I
ლამაზ ყდით . . . . . „ „ 75 კ.

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა **ილ. ჭავჭავაძის** თხზ. მე-III ტომი, რომელშიაც სხვათა შორის დაბეჭდილია ოთარაანთ ქვრივი. (3—1)

## მ ე ქ ა რ ხ ნ ე ე ბ ი

ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი

# ბენდერ-სტეფანოვი

**ტფილისის განყოფილება** სოლოლაკ. ქ. სახ. აღაბაბოვისა.

**ისყიდება ყოველ-გვარი ახალ-მოდის ნაწარმოები სარფინკისა, საკუთარ ქარხანაში დამზადებული:**

სხვა-და-სხვა ნაირი არშიანი და ახალ მოდის სარფინკები.

ჩესუჩა ტანთსაცმელისათვის.

სარფინკის ტანისამოსი ყუთებით საჩუქრად.

ცხვირსახოცები და თავმოსახვევები.

ნაქსოვი საშემოდგომო იუბკები არშიით.

სარფინკის ფერადი ძაფები ნაძახი ჩულქების საქსოვად.

მზა-მზარეული სარფინკის ტანისამოსი.

პერანგები კაცისა:

„ფანტაზია“ და გახამებული პერანგები.

საცვლები მანდილოსნებისათვის:

პერანგები, კოფთები და კალსონები.

ჩულქები და წინდები სარფინკის ძაფისა.

ქარხნის ფასად, იაფად. (35—16)

ა ხ ლ ა დ გ ა მ ა რ თ უ ლ ი

## პანსიონი და სასწავლებელი

ა. გ. მ ი რ ზ ა შ ვ ი ლ ი ს ა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბაღდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდამ. (50—47)


Доз. ценз. Тифлисъ, 24-го Марта 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**